

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №31 03.11.09 მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 205-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მსჯავრდებული შეიძლება წინაწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ ის არის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეში.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია წინაწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისგან და ბადრაგირების განხორციელება გართულებულია, სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია ბრალდებული საქმის განხილვისას დროებით მოთავსდეს უახლოეს წინაწარი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.“

2. 284-ე და 285-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 284. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის, მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის (ახლო ნათესავის) შუამდგომლობით, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე, სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს, მძიმე ან უკუერნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის მიმართ ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე და პატიმრობის კოდექსის 39-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მოთხოვნით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი, მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას.

3. ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის განთავისუფლებისას სასამართლოს უფლება აქვს იგი დამატებითი სასჯელისაგანაც გაათავისუფლოს.

მუხლი 285. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით

1. სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო (გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ზეპირი მოსმენის გარეშე მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს და სასჯელის მოუხდელ ნაწილს ნაკლებად მკაცრი სასჯელით უცვლის მსჯავრდებულის, მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის (ახლო ნათესავის) შუამდგომლობით.

2. სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინებით.

3. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მსჯავრდებულის, მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის (ახლო ნათესავის) ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით პირობით ვადამდე ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან, ხოლო მსჯავრდებულის შუამდგომლობით – სასჯელის მოუხდელ ნაწილს უცვლის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3–მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მსჯავრდებულის შუამდგომლობით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რომელსაც მსჯავრდებული მოიხდის წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.

5. გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე მსჯავრდებულს რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს მსჯავრდებულის შუამდგომლობით.

6. თუ სასამართლო უარს იტყვის ამ მუხლით გათვალისწინებული წარდგინების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

7. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.